№ 74 17 თიბათვე, პარასკევი 1866—1877 17 თიბათვე, პარასკევი № 74

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—[illegible] ... სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

„დროება“—ჭუთაისში

ისყიდება სიმონ ჩომახიძესთან, გუბერნიის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირ-დაპირ.

ერთი ნომრის ფასი—შაური

გაზეთი მიიღება ჭუთაისში საღამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც თფილისში გამოდის.

ტელეგრამები

(ოფიციალური)

დედოფლის-წყაროს, 14 ივნისს. გუშინასწინ დიდოელები დაეცნენ თ. ჯორჯაძის ატრიადს სოფ ხუფროსთან.

ჩვენის მხრით მოკლული არიან: სიღნაღის ადგილობრივი კამანდის თ. ჩერქეზისშვილი და 10 კაცი; დაჭრილი არიან: თ. სიკო ჯორჯაძე და 20 კაცი. მტერმა დიდი ზიანი მიიღო.

თემირ-ხან-შურა, 14 ივნისს. დიდოს სოფლები, გარდა ასახოსა და მურუკისა, მოდიან ნაიბთან და სინანულსა და მორჩილებას აცხადებენ.

ბრძოლის ველიდან

მაცრა, 13 ივნისს. ღამით 12-ს და დღეს, ყარსის ციხიდამ ათას-ოთხას საჟენის სიშორეზედ, რუსის ჯარმა 9 ახალი ბატარეია გამართა.

ჩვენის მხრით მოკლულია 2 და დაჭრილი 2.

მაცრა, 16 ივნისს. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინ დრაჩიდამ ვამოგზავნილის ტელეგრამმით ქავკასიის არმიის მთავარ საღალს აცნობა, რომ ჩვენი ჯარის დუნაიზე გადასვლა შესრულებულია და იმ ალაგას, საცა ოსმალოები სრულებითაც არ მოელოდნენ ხელმწიფე იმპერატორმა დასაჩუქრა ამ გადასვლის დროს ჩინებული განკარგულების მომხდენნი: დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი—წმ. გიორგის ჯვრით მეორე ხარისხით, არმიის შტაბის უფროსი ნეპოკოიჩიცკი—წმ. გიორგის ჯვრით მესამე ხარისხით და დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უნცროსი—ამავე ჯვრის მეოთხე ხარისხით.

სტამბოლი, 13 (25) ივნისს. რუსებმა რუსჩუკს ყუმბარები დაუშინეს. ბევრი ყუმბარა ქალაქში ვარდება. ოსმალოებიც თავის მხრით ზარბაზნებს ისვრიან.

ვენა, 14 (26) ივნისს. ბუხარესტიდამ დეპეშა მოვიდა, რომ რუსის ჯარმა აიღო ბირსოვო, რომელიც ოსმალოებმა მიატოვეს.

დღეს დილით მთელ დუნაის ნაპირებზე საშინელი ზარბაზნის სროლაა. ბუშინ რუსჩუკისა და ვიდინის სახლებს ცეცხლი წაუკიდა რუსებისა და რუმინიის ყუმბარებმა.

ფელეტონი

ყარსში ტყვეთ მყოფის ნაამბობი

— არტაანი რომ აიღეს, ატრიადმა ცოტა დაისვენა და მერმე ყარსისკენ გასწია. ახალქალაქელები აქ ბევრნი ვიყავით სავაჭროთ. ატრიადი რო გავიცილეთ, ძალიან ქეიფი ვწიეთ: ზოგნი ყუმბარებით ვთამაშობდით, ზოგნი ციხეებზე დავხტოდით, და რა ვიცი, ჯანუმ, რას არ ვჩადიოდით. სამი დღის უკან, კარგათ არ მახსომს, მგონი, მაისის 15 იყო, ავდექით 15 კაცმა ახალქალაქელებმა, 2 ახალციხელმა და ორმაც ხორენილებმა, დავიქირავეთ 17 ურემი ზოგი სომხებისა, ზოგიც თათრებისა, დაუწყეთ სხვა და სხვა საქონელი და დავედევნენით ატრიადს საჭროთ. შრომაში ყევარ-ყევარიებათ და ურემზე ორ-ორი კაცი მოსდევდა...

— მაშ შენის სიტყვით 50 კაცამდე იქნებოდით?

— დიახ, მეურმეებით სწორეთ 53 ვიყავით,... იმ დღეს მშვიდობიანათ ვიარეთ. მეორე დღეს, ოჰ, ოჰ! შავ და უკულმათ ის დღე! რო გავიარეთ თითქმის შუა გზა, ახ-ჩაისთან დავინახეთ 70-მდე ცხენოსანი დაიარაღებული თათრები. „იავაშ! იავაშო!“ შემოგვეყიელეს და გარს შემოგვერტყენ. ღმერთს დაუჯერე, რომ ამ „იავაშმა“ ცუდათ გვაცელევინა ფერი!..

— რატომ თოფები არ დაუშინეთ, 53 კაცამდე ყოფილხართ?

— ჰე, ჰუუ! რას ამბობ, ჯანუმ? ცეცხლი რომ გაგვეჩინა, ხომ ყვინჩილებსავით ყინწებს დაგვგლეჯდენ! ერთმა ჩვენმა ბიჭმა ღრიალი დაიწყო: „ყარაულ! ყარაულო!“ თავის ჭკუაში უნდა გაეფეთხო, და ხლმის ყუით წინალამ თავი შვიდათ უქციეს. მერე მე წავდექ და იმათ უფროსს...

— ამბობენ, ჩვენებური გათქმული ყაჩაღი, მეჭრა-ალი ყოფილა იმათ მოთავეთ?

— ჰო სწორეთ იმას დაუჩოქე: „რა ვქნათ, აღაჯან, ეხლა ჩვენი სული თქვენს ხელშია, ყარაულიც ტყუილია და ძალაობაც-მეთქი. ოღონდ ჩვენ ნურას გვერჩით და ჩვენი ქონება ღმერთმა მოგახმაროთ-მეთქი...

— მეურმეები რაღას ამბობდენ? — ხომ არავინ გაქცეულხართ?

—მოიცა, ჯანი, ყველაფერს გითხრამ. ურმებზე რაც ღვინის რუმბები ეწყო, ხანჯლებით სულ შადრევანი ადინეს; ღორის ქონი გადაგვაყრევინეს და მეურმეები ხუთმა ცხენოსანმა კაცმა წინ გაირეკეს. მერე ჩვენ წაგვეჭიდეს ხელი და სულ დედი-შობილა დაგვხადეს; ფულს ხო ვინ შეგვარჩენდა...

— ვაი დედასა! ფული ბევრი გქონდათ?

— აცა, გაცინო და! ის ურჯულო, მე რომელიც მცარცავმდა, ფულებისას მეკითხებოდა: „ეს რიანია, ეს რიანიაო?“ და თან მემუქრებოდა: „დედას გიტირებ, დონღუზივით დაგკლამო, ჩემს ამხანაგებს არ უთხრა, რამდენი ფულიც გქონდაო!“ ახლა ეს ტიტველა და ფეხ-შიშველი ხალხი გაგვირეკეს წინ და ის ჩემი თათარი კიდევ არ მეხსნებოდა, თითქო მართლა იმისი მემართა რამე! ჩემ ფულებში ერთი ათ თუმნიანი ერია და იმისას მალ-მალ მკითხამდა: „ეი გიაურ! ხომ არ მატყუებ, მართლა ათ თუმნიანი არისო?“

ოსმის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

სოხუმის მაზრაში ჩაყენებულის ოსმალოს ჯარის უფროსს ფაზლი-ფაშას სტამბოლში დეპეშა გაუგზავნია, რომელშიაც, სხვათა შორის, იწერება, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ჯარის შედგენის საქმე ძალიან კარგათ მიდისო; ათი-თორმეტი წლის ყმაწვილები მოდიან ჩვენთანაო და გვთხოვენო, რომ თოფიალარი მოგვეცითო და რუსების წინააღმდეგ გაგვიშვითო.

—

ბრაგიმ-ფაშას—ბათუმის ჯარის უფროსს—ოსმალოს სამხედრო მინისტრისათვის შეუტყობინებია, რომ აჭარის ყაიმაკამისაგან (უეზდის უფროსისაგან) ამბავი მოსმენილა, რომ აჭარეთთან დაბანაკებულ ჩვენ ჯარს შეტაკება ჰქონია რუსის ჯართან და დაუმარცხებია ისაო, 5 კაცი მოუკლავთ იმათთვის, 3 ტყვეთ აუყვანიათ და 500 თავი საქონელი წაურთმევიათო.

—

7 ივნისს სტამბოლიდამ გამოგზავნილი დეპეშა გვაცნობებს, რომ გამოჩენილი ვენგრიელი ენერალი—ქლაპკა ამ დღეებში არზრუმს წავიდაო.

—

პეტერბურღის ნემეცურს გაზეთს „St.-Petersburger Herold“-ში დაბეჭდილია 7-ს ივნისს ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომ მუხთარ-ფაშას 9 ბატალიონი ახალი ჯარი მიემატა და მთელი თავის ჯარით ყარსისაკენ მიდის ამ ციხის მისაშველებელადაო. ჯერ-ჯეროობით კი მუხთარ-ფაშის ჯარის ერთი—მარჯვენა ნაწილი თოფრახ-ქალესთან დგასო და მეორე ოლთისსა და პენიაკს შუაო.

—

„ქელნის გაზეთში“ დაბეჭდილია არზრუმიდამ გამოგზავნილი შემდეგი კორრესპონდენცია:

„მუხთარ-ფაშის არმიის ცუდს მდგომარეობას იმას მიაწერენ, რომ ამათ უსსეინ-ბეიმ ულალატა ჭურთების სარდალმა. ამ სამის თვის წინათ, ჰუსსეინ-ბეიმ არზრუმის მთავარ მმართებელს სამითაფაშას წარუდგინა 1,000 დაიარაღებული ქურთი და ამისთვის კარგი ჯილდოც მიიღო. ამ დროსვე იმას ქონდა საიდუმლო მოლაპარაკება არზრუმელ რუსის ელჩთან, უფ. ოზერმიულერთან. არტაანის აღების შემდეგ, ჰუსსეინ-ბეიმ გამოაცხადა, რომ ის აღარ ემორჩილება ოსმალოს მრავრობას.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

რუსული გაზეთის „პეტერბურღის უწყებების“ სიტყვით, რაც ბოლგარიაში მომეტებული საქონელი ან პური ან სხვა რამ სურსათი იყო, სულ ოსმალოს ჯარის უფროსებმა შეისყიდეს და ვინც არ მისცა, ძალათ წაართვეს მცხოვრებლებსო და თავის საჭიროებისათვის დაიტოვესო. იმას გარდა რომ თვითონ ოსმალოს ჯარსაც დასჭირდებათ საქონელი და სურსათიო, ეს დანაკარგობა ამ განზრახვით მოახდინეს ოსმალოს სარდლებმაო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, რომ, როცა რუსის ჯარი დუნაიზე გადავა და ბოლგარიაში შევაო, მაშინ ამას აქ საზრდოს შოვნა გაუძნელდება და ამის გამო მსწრაფლად ვერ წავლენ წინაო.

—

„რეიტერის აგენტობაში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომ 1 ივნისს რუსებმა განიზრახეს რუსჩუკთან დუნაიზე ჯარების გადაყვანაო იმ განზრახვით, რომ დაეღუპათ ოსმალოს ხომალდები, რომლებიც მარჯვენა ნაპირზე იდგნენო; მაგრამ ოსმალოებმა დროზე შეუტყვეს ეს განზრახვა, ზარბაზნები დაუშინეს რუსის ჯარით გავსებულ ნავებს, და რამდენიმე იმათგანი დაღუპეს და დანარჩენები საჩქაროთ უკან დაბრუნდნენ. „ჩვენ არ ვიცით—რამდენი ზარალი მიეცა ამ დროს რუსებსაო, იწერება ოსმალოს ფლოტის უფროსი, მაგრამ ისეთი საშინელი ყვირილი შექნეს იმათ წყალში, რომ ეტყობა ბლომათ დაღუპული უნდა იყვნენ.“

—

ინგლისური გაზეთის „Daily Telegraph“-ის სპეციალური კორრესპონდენტი იწერება, სტამბოლიდამ.

„დღეს მოიყვანეს აქ რუსის ტყვეები, რო-

— მოიცა, რა გკითხო: დავიჯერო ან არავის გცემეს, ან თოფი არ გაუსროლიათ?

— ჰო, თითო-ოროლა მათრახს გვაჭმევდენ ხოლმე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რაც იმათ თავს ლაფი გვასხეს, რა ვიცი რაღა შეგვარჩინეს: რჯული, სული, ხორცი, დედა, მამა სულ დომხალიეთ ურიეს. მერე ერთი გასავლელი წყალი დაგვიხვდა, მე ფეხებიდგან ორ ტოტათ სისხლი მდიოდა, და ამიტომ ორი კაცი ხიდზე გავდიოდით. ამ დროს წამოგვეყიელეს: „ჰაი, ჰაი! თქვე გიაურებო, იპარებით კიდეცაო“, და დაგვიწყეს თოფების შენა...

— დახე, დახე! ხომ არავის მოგხედათ?!

— არა, ღმერთმა დაგვიფარა; ერთიც სოფ. ჩახმახლას რო მიუახლოვდით, წინ მოლა შემოგვეყარა; ჩვენმა სულთა მხუთავებმა თოფი მიაწოდეს: ერთ-ერთი დონღუზი ნიშანში ამოიღე, ვითამაშოთო. მოლამ წვერზე ხელი ჩამოისვა და კრიანოსალის მარცვალი ჩააგდო:

„ამ გიაურების სისხლში გარევას ძაღლის სისხლში გარევა სჯობიაო.“ რაღა გაგიგრძელო ბაასი, ქათმების შესხდომის დროს იმ სოფ. ჩახმახლაში მივედით. ერთი ბეგი მეჰრა-ალის გარდაეხვია, თვალები დაუკოცნა: შენი ვაქკაობის ჭირიმე, რომ ყველაფერში გამარჯვებული ხარო. მერე ერთ საბძელში შეგვრეკეს და ცოცხალ-მკვდრები და სასოწარკვეთილები დავეყარენით. სოფლის ხალხი ბუზებივით გვეხვეოდენ: ჰაი თქვე დონღუზებო, არტაანის აღება გაგეხარდათ განაო, აბა ახლა უყურეთ როგორ ძაღლებივით ჩამოგახრჩოთო! რა გვეთქვა? თმა ჯაგარივით დგებოდა! ზოგმა ლოცვა ვიწყეთ, ზოგმა ტირილი.. ამ დროს ერთი თათარი გაუვარდა თოფით ხალხს: „დაიკარგენით, თორემ უსიკვდილოთ არ გადამირჩებითო! რა ანბავია, კაცი არ გინახამთო?!“

—ბიჭოს ღვთისნიერი კაცი იქაც გამოგჩენიათ აი!

—ღმერთმა მაჰმადის რჯულზე აცხოროს. შემოვიდა, ნუგეში გვცა: ყარსამდე თქვენი ხელის მხლებელი არავინ არის, ნუ სწუხთო. მე ხვეწნა დაუწყე: რას ამობ, აღაჯან, ეს მშიერი, დაღალულ-დაწყვეტილი და ტიტველი ხალხი ამაღამ უსათუოდ დავიყინებით-მეთქი და ყარსს წაყვანას ვილას უპირებთ-მეთქი. ბიჭებმაც ზოგმა საჭმელ-სასმელი სთხოვა, ზოგმა ტანისამოსი და თუთუნი. თითო-ოროლა ჭყაპურტი მოვეიგდო, თუთუნიც მოგვცა და მერე გვითხრა: „ბიჭო, ე „თხის პატრონს აღარც თხის კუდიო!“ წამოდით, არაყი დალიეთო. მეც თქვენი ხემწიფის ქვეშვრდომი ვარო, არაყსაც ვსვამ, ყაჩაღობა, ქურდობა, კაცის კვლა, რასაც კი იტყვი, ჩემი ხელიდგან ყველა მამაძაღლობა გამოვაო. წავყევით ოტკისთვის, მაგრამ ჭურჭელი რომ არ გქონდა, ტიკიანათ შემოვიტანეთ და მუჭით დაუწყით სმა: აბა, ბიჭებო, ისე დავლიოთ, რომ სიკვდილის გემო ვერ გავიღოთ-მეთქი; ღილამდე ღმერთმა იცის-რა მოგვიეა-მეთქი. მაგრამ არ დაგვაცალეს, ოტკა ისევ წაგვართვეს, და ძილზე მივეყარენით.

ილ. ალხაზაშვილი

ახალქალაქი, 12 თებათვეს.

(მაგრძელება)

მელიც სულინთან დაატყვევეს—არცერთი ინგლისელი და ამერიკანელი ამათში არ არის. სხვათა შორის ამათთან ლეიტენანტი პუშჩინიც, ნაღმიანი კატერების (ნავების) გამძღოლიც მოიყვანეს. პუშჩინი ჯერ ახალგაზდა და განათლებულს კაცსა გავს. ეი როგორ ასწერს ის იმ ეკსპედიციას, რომლის დროსაც ის დაატყვევეს.“ როდესაც ყველაფერი მომზადებული იყო, ღამის მფარველობის ქვეშ ნაღმიანი კატერებით გამოვედით ოდესიდამ. ეკსპედიციის მიზანი დიდს სიშის ქვეშ დაფარული იყო და გაგვიმხილეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძრიელ დიდს მანძილზე შეველით ზღვაში ასე, რომ ხმელეთი აღარ ჩანდა. გამოგვიცხადეს, რომ კატერები დუნაიში სულინისაკენ უნდა გამგზავრებულიყო, და ამ გზაზე დაგვაყენა კიდეც იმ ხომალდებმა, რომელთაც ჩვენი კატერები მიჰყავდა. სულინის მახლობლად ხომალდებს მოხსნეს კატერები. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუელია, გამოჩნდნენ ოსმალოს გემები. მაშინვე შეუდეგით ჩვენს საქმეს. იმ თავით ყველაფრიდამ ჩნდა, რომ ამ ეკსპედიციას სანატრელი შედეგი ექნებოდა. შვიდი კატერი იერიშით მივიდა გემებზე. მიუახლოვდნენ ოსმალოს გემებს, რომ ნაღმები ჩაეგდოთ და აეფეთქათ, მაგრამ ამ დროს ვიგრძენით, რომ რაღამაც საშინლათ შეგვანძრა; არ დავხედეთ ამას და კიდევ წინ დავაშურეთ; მაგრამ საუბედუროთ გავებლანდეთ თოკებში და ჯაჭვებში, რომელნიც თურმე ოსმალოებს განგებისათ ჩაეგდოთ ამ ალაგას თავის გემების დასაცველად. იმ წავსვე „თითქოს სეტყვასავით, დაგვიშინეს ოსმალოებმა ტყვია და ყუმბარები თავის ჯავშნიან ხომალდებიდამ. ჩვენმა მატროსებმა თავისი მაინც არ დაიშალეს და ძრიელ გაცხარებით მუშაობდნენ. იმ დროს, როდესაც ჩემი კატერიდამ ის იყო ნაღმი უნდა ჩამეგდო, მოხვდა მას ყუმბარა, კატერი გადაბრუნდა და ქვეშ მოგვიქცია. ამის შემდეგ რამდენიმე წამს კიდევ ეუყურებდი საწყალი მატროსები როგორ ებრძვოდენ წყალს, თორემ ამის მეტი, სანამ არ ამომიყვანეს ოსმალებმა წყლიდამ, აღარა მახსოვს-რა.“

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

16 ივნისს საფრანგეთის სხდომაში სამინისტროს თავს-მჯდომარემ გერც. ბროჰლიმ წაიკითხა მაკ-მაჰონის ეპისტოლე, რომელშიაც რესპუბლიკის პრეზიდენტი უცხადებს სენატს, რომ, რადგან ჩემსა და ნაციონალურ კრებას შუა უთანხმოება მოხდაო, რადგან ვერც-ერთმა სამინისტრომ ისე ვერ გასძლოო, რომ რადიკალების პროგრამმასა და მოთხოვნილებას არ დამორჩილებოდაო, რადგან ამ გვარი წყობილება საბოლოოთ დაღუპავს საფრანგეთსაო,—ამის გამო მე განვიზრახეო, რომ დავითხოვო ეს ნაციონალური კრება და იმედი მაქვს, რომ ამაზე თქვენი თანხმობაც იქნებაო.

ამავე დროს ნაციონალური კრების ტრიბუნაზე იდგა მეორე მინისტრი ფურტუ და თავის სიტყვაში აცხადებდა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა წარუდგინა სენატს წინადადებაო, რომ თქვენ, ნაციონალური კრების წევრნი დათხოვნილი იქნეთო.

ნაციონალურ კრებაში დიდი ხმაურობა და ყვირილი შექნილა ფურტუს ლაპარაკის დროს. ბამბეტტას ჩინებული, მჭევრმეტყველებითა და გონივრობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს.

სენატმა მესამე დღეს გადაწყვიტა, რომ ის თანახმაა პრეზიდენტის აზრისა, რომ ნაციონალური კრება დათხოვნილი იქნეს. ეა ტელეგრამმამ გვაცნობა.

სამი თვის შემდეგ ახალი კენჭის-ყრა და ამორჩევა იქნება ნაციონალურ კრების წევრებისა, რომელიც გადაწყვეტს—ვინ არის ამ შეტაკებაში მართალი: მარშალი მაკ-მაჰონი თავის კლერიკალებითა, თუ რესპუბლიკელები. არც ახლა აქვს კი არავის ეჭვი, რომ საფრანგეთის ხალხი ერთხელ კიდევ გამოაცხადებს თავის თანაგრძნობას რესპუბლიკისადმი.

საგაასო

სამწუხარო მოვლენა პედაღოღიაში

(პასუხი უ. ნათიევს)

ამას წინეთ „ივერიაში“ დაბეჭდილს წერილს შესახებ ქართული ენის სწავლებისა ბორის საოსტატო სემინარიაში სათაურით: „ვიცინოთ, თუ ვიტიროთ“ ახირებულათ გაუცხარებია უფ. ნათიევი ბორის ქართული პროსემინარიის მასწავლებელი, რომელსაც ეს წერილი, სხვათა შორის, შეეხებოდა. გაუცხარებია იმ გვარათა, რომ იგი მას მოსჩვენებია გონებათ, როდესაც რომ მთელ წერილში არ არის ნახმარი მის შესახებ არცერთი შეურაცყოფითი სიტყვა. ჰაზრები მართალია მწარეა, მაგრამ დამწერმა რა ქნას, თუ ფაქტები, რომელსაც ეს ჰაზრები შეესაბამებიან, ცუდი თვისებანი არიან. თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც რომ დაემდურეს, მით ის პირის სახეს ვერ გაილამაზებს. აგრეთვე ფონს ვერ გავა მრუდეთ და უკულმართათ მოქმედი პირი, რაც უნდა ბევრი იტლიკინოს და იყვიროს მლანძღამენო, როდესაც მის უკულმართს მოქმედებას ამხილებენ.

უფ. ნათიევი ძალიან ცდილობს დაამტკიცოს, რომ სარკე, რომელიც მას წინ მიუტანეს და მისი მოქმედების სახე შიგ დაანახვეს, სტყუის, რომ ფაქტები, რომლებიც „ივერიის“ წერილში იყვნენ მოხსენებულნი, მის სწავლის სისტემის შესახებ, არ არიან მართალნი. მაგრამ ფუჭი გასჯილობაა!

„ივერიის“ წერილში პირველად ის ჰაზრი იყო გამოთქმული, რომ ბორის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც ორი მესამედი მოწაფეთა შესდგება ქართველებისაგან, რომლებიც კურსის დასრულების შემდეგ უნდა გავიდნენ ქართველ ხალხში ქართულ სასოფლო შკოლების მასწავლებლებათ, სრულიად არ ასწავლიან ქართულ ენასა, რომელიც შეადგენს უსაჭიროეს საგანს მეტადრე ამისთანა მიზნის სასწავლებლისათვის.

მართალია ეს, უ. ნათიევო, თუ არა? ამაზედ არასფერს ამბობთ თქვენ გაცხარებულ პასუხში. რატომ? იმიტომ რომ მართლის თქმა არ გინდათ და საქმისათვის ხელის წამართვა. თქვენგან არავინ არ მოელოდა იმდენს თავგანწირულებას, რომ ეს ფაქტი შესაფერად გაგეკიცხათ. მაგრამ თქვენ ვალდებულნი იყავით გეთქვათ, რომ სემინარიაში ქართული სახსენებელიც არსად არის, რომ ამ საგნისათვის არცერთი საათი არ არის დანიშნული კვირაში.

ეს საჭირო იყო, იმიტომ რომ თუმცა ორსაკ ქართულ გაზეთში იყო ნაუწყები ეს ფაქტი, მაგრამ არიან იმისთანა პირნი, რომელთაც ეს ამბავი აქამდისინ არა სჯერათ. „შეუძლებელი საქმეა, ამბობენ ეს პირნი, რომ სასწავლებელში, რომელმაც უნდა გამოზარდოს ქართული სახალხო შკოლის მასწავლებელნი, ქართულის სწავლება არ იყოს დაწესებული;—ჩვენში ბევრგვარი უმგზავსობა არსებობს, მაგრამ ეს უმგზავსობა მეტათ უკიდურესია, ასე რომ მისი დაჯერება შეუძლებელიაო.“ აი ამ გვარი პირებისათვის იყო საჭირო, რომ თქვენ, მახლობელს პირს სემინარიასთანა, ეს სამწუხარო ფაქტი შეგემოწმებინათ მარტო ორი ლიტონი სიტყვით. მაგრამ თქვენ ამაზედ სრულიად ენა ჩაიკმინდეთ. რათა? რასაკვირველია, არა იმ განზრახვით, რომ ჭეშმარიტებას და საზოგადო ინტერესებს დახმარებოდით.

თუ უ. ნათიევი შესახებ სემინარიისა ენა-ჩაკმენდილია, რადგანაც გამოსარჩლება ყოვლად-შეუძლებელი იყო მის გამოისათ, რომ ქართული ენა აქ გარეგანი მოჩვენებითაც, ფორმითაც არ არსებობს, სამაგიეროთ იგი დიდის სიმამაცით და სიტყვების სიუხვით ესარჩლება ქართულ პროსემინარიასა, სადაც ქართული ენა მოსაჩვენებლათ და ფორმის გულისათვის ირიცხება საგანთა შუა.

„ივერიაში“ და თვითონ „დროებაშიაც“ იყო ნათქვამი, რომ პროსემინარიის უფროს განყოფილებაში ქართულს არ ასწავლიანო. ამაზედ უ. ნათიევი ამბობს, რომ უფროს განყოფილებაში არამც თუ ქართველებს, სომხებს და რუსებსაც ეასწავლე ქართული წერა-კითხვაო.

შესანიშნავი სიტყვებია: მათგან პირდა-პირ სჩანს, რომ უ. ნათიევი უფროს განყოფილებაში ქართულ ბავშვებს ქართულს ანბანს ასწავლის. მაშასადამე იმას ქართული ენა პირველი განყოფილებისათვის მიუცილებელ საჭიროებათ არც კი მიაჩნია და უფროს განყოფილებაში ილებს იმისთანა ქართველ ბავშვებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც ქართული წერა-კითხვა არ იციან.

როგორ მოგწონთ ამ გვარი შეხედულობა ნათიევისა? ქართულ პროსვეშნარიაში ქართული ენა ვალდებულ საგნათ არ მიიჩნია—ქართველ მასწავლებელსა! ეგენი მოწაფეებმა შეიძლება არ იცოდნენ და ეს უცოდინარობა მათ უფროს განყოფილებაში მიღებას არ დაუშლის. და ამის გამო უფ. ნათიევი ანბანს ასწავლის იქ, სადაც მოწაფეები ქართული გრამმატიკის და ქრისტომატიის შესწავლას უნდა ადგნენ.

ამისთანა სწავლას სწავლა კი არა ჰქვიან, მასხარობას უწოდებენ. მაგრამ უ. ნათიევი იკვეხის, რომ სომხებსაც და რუსებსაც კი ვასწავლი ქართულ წერა-კითხვასაო. ეუდა ხარი თავისათვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო. უფ. ნათიევს ქართველებისათვის ქართული ენა ვერ უსწავლებია ხეირიანათა და გამოსდგომია უცხო თემის ბავშვების სწავლებას ქართული წერა-კითხვისასა. რის გულისათვის? ნუ თუ იმიტომ, რომ ქართული კითხვის ჩათვლით ცოდნით და ცოტაოდენი ჯღაბნის მოხერხებით გზა გაუკვლიოს ქართველ სახალხო სკოლებში მასწავლებლების ადგილის დაჭერისათვის? ძალიან დიდათ დაავალებს ჩვენს ხალხსა, რადგანაც სამაგალითოთ სასარგებლო პირებს გაუგზავნის შვილების საზრდელათა!

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას უნცროს განყოფილებაში, „ივერიაში“ იყო ნათქვამი, რომ უ. ნათიევი, თავის მოწაფეების საუბედუროთ და სატანჯველად, ოთხს კურდღელს გამოსდგომია და, რასაკვირველია, ვერც ერთს ვერ ეწევა-თქო. რას ამბობს ამაზედ უფ. ნათიევი? იგი ამაყათ გვიპასუხებს: ოთხს არა და იქვს კურდღელსაც მივდევო და ყველას ერთათ ვიჭერო. სწორეთ ახირებული ფეხ-მარდი ყოფილა უ. ნათიევი. მაგრამ ვაი რომ ეს ფეხ-მარდობა პედაგოგიაში მარტო მის ოცნებაში არსებობს!...

დედა მიწის ზურგზედ საქართველოს გარეთ თქვენ ვერ იპოვნით იმისთანა სკოლას პატარა ბავშვებისათვის, სადაც რომ მათ მაშინვე, სკოლაში შესვლის უმალ, აწყებინებდნენ სამშობლოს წერა-კითხვასთან უცხო წერა-კითხვის სწავლებასაცა. ვერ იპოვნით იმიტომ, რომ მარტო სამშობლოს წერა-კითხვის სწავლება მეტათ რთული საქმეა და ბავშვს ამ საქმის დაძლევა მაშინაც კი უძნელდება, როდესაც მისი ყურადღება დამყარებულია მარტო ამ საგანზედ. საზოგადოთ ბავშვის ჩვილ და სუტ გონებას ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი სიძნელის ატანა შეუძლიან. თუ მას ერთათ დაუწყებინებ ორს ან სამს საქმესა, ადვილათ შეიძლება მას გონება ჩასწყდეს და დაუმახინჯდეს. ამიტომ პედაგოგიაში არსებობს ერთი კანონი, რომელიც ამ გვარათ გამოიხატება: ერთბაშათ ბავშვს მარტო ერთი სიძნელე. ამ კანონს მეტათ ღრმა საფუძველი აქვს: როდესაც თქვენ ბავშვს კისერზედ ახვევთ, მაგალითად ორ საქმეს ერთბაშათა, მაშინ თვითოეული მათგანი ბავშვს ერთი-ორათ უძნელდება და მთელი ჯაფა ერთი-ორხათ მატულობს. თუ დიდს ადვილათ სწყდება წელი, როდესაც მას მომეტებულ ტვირთსა ჰკიდებენ, უფრო ადვილათ არ უნდა მოსწყდეს ბავშვს გონება, როდესაც მის ტვინს მეტათ აუტანებელ შრომას აყენებენ? საუბედუროთ, ეს გონების ჩაწყვეტა ბავშვს მაშინვე როდი ეტყობა არამედ შესამჩნევი ხდება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ და, როდესაც ბავშვი სრულიად კარგავს სწავლის ნიჭსა და შეძლებასა.

უ. ნათიევი თავის მოქმედებით ამტკიცებს, რომ მან ეს ელემენტალური პედაგოგიური კანონი სრულიად არ იცის. იგი სრულიად სწავლობს ... ფიქრობს: რამდენიც უფრო—ბევრს—საქმეს მიაყრი ბავშვის ნორჩ გონებასა, იმდენი უფრო კარგი იქნებაო. მას შკოლაში შესვლის უმალვე რვა წლის ბავშვების გონება ერთბაშათ დაუტვირთავს ექვსი ძნელი საქმით: ქართული წერა-კითხვითა, რუსული წერა-კითხვით, რუსული ენის სწავლებით, რუსული სიმღერეების სწავლებით და თავის მოგონებული ნათიურის ანბანით!

ყველას ამას ის თვითონვე ამბობს თავის პასუხში, გარდა უკანასკნელი საგნისა, რომლის შესახებ სიჩუმესა რჩეულობს ...

(გაგრძელება იქნება)

განცხადებანი

პრისიაჟნის პოვერენი
რიმსკი-კორსაკოვი

კისრულობს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა.

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი. (4—2)

დაიკარგა სადა, ფართო, ოქროს **გეჯედი**, რომელზედაც დიდის სლავიანურის ასოებით აწერია რუსულად „Василій Черникъ“. თუ ხმეტი მანეთი საჩუქარი, ვინც იპოვნის ამ ბეჭედს და წარმოადგენს: ან ქუთაისში, ივანე იოსების ძეს ზედგინიძესთან ან სლაბოტკაში, ქრიეოლაპოვის სახლში ეისკის ყაზახის პოლკის ხორუნჯის ლეიხთან და ანუ ოზურგეთში—ვასილი ივანეს ძეს ჩერნიკოვთან.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 11 ივნისს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 266 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	208	
მოგებიანი (მეორე ესესხი)	201	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
კავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 16 ივნისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	80
—ამერიკისა, ფუთი. .	7	—
ბაპენტილი ბამბა ფუთ.	7	70
მატყლი თუშური ფუთ .	3	—
—თარაქამისა ფუთ. .	2	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	5	50
ქონი, ფუთი. . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
—ფხვნილი ფუთი . .	8	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	72

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი